

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 14 მაისის სხდომის

ოქმი #4

2022 წლის 14 მაისს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

დღის წესრიგის საკითხის გადასაწყვეტად საბჭო წინა დღეს - 13 მაისის 19 სთ-ზე შეიკრიბა, თუმცა აღნიშნულ საკითხზე საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხდა კენჭისყრასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემის გამო. ამის გამო საბჭო ხელახლა შეიკრიბა 14 მაისს, 10სთ-ზე. წინამდებარე ოქმი მოიცავს ორივე სხდომას.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 35 წევრი, სხდომას ესწრებოდა 27 წევრი.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტზე გაზაფხულის სემესტრში სწავლის გაგრძელების ფორმატის შესახებ;
2. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტზე გაზაფხულის სემესტრში სწავლის გაგრძელების ფორმატის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. ფაკულტეტის საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ რექტორის ბრძანება (N 136/01-01, 136-01-01-4-202205111759, 11/05/2022) „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2021 წლის 2 აგვისტოს N128/01-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

ბატონმა რამაზმა მოკლედ გააცნო საბჭოს წევრებს არსებული მდგომარეობა სწავლის გაგრძელების ფორმატთან დაკავშირებით, ასევე მიმოიხილა საკითხის წინაისტორია და უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტების გამოცდილება. საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა განეხილათ საკითხი 16 მაისიდან ბაკალავრიატში სააუდიტორიო მეცადინეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ხოლო სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამებზე ცალკე შეეთანხმებინათ სწავლების ფორმატი.

აზრი გამოთქვას: საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს თითქმის ყველა წევრმა. პროფესორმა ო.ფურთუხიამ წამოაყენა წინადადება, რომ ასევე მიეღოთ დადგენილება იმ სტუდენტების დამატებითი ხელშეწყობის შესახებ, რომლებიც ობიექტური

მიზეზების გამო ვერ დაესწრებიან ლექციას. ამ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა განხილვა, კერძოდ, საკითხის ფორმულირებასთან დაკავშირებით, რათა დაშვება წინააღმდეგობაში არ მოსულიყო ბაკალავრიატისათვის შეთავაზებულ სწავლების ფორმატთან. აზრი გამოთქვეს პროფესორებმა დ.ძიძიგურმა, ო.ფურთუხიამ, გ.სირბილაძემ, ი.ხუციშვილმა, ა.უგულავამ, მ.ხაჩიძემ, დ.ნიკოლაიშვილმა და სხვებმა. ერთობლივი მსჯელობის საფუძველზე მოხდა შეთავაზების ფორმულირება.

გამოკითხვის სახით დადგინდა სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამებზე 16 მაისიდან სწავლების გაგრძელების ფორმატი დეპარტამენტების მიხედვით.

დასასრულს ასევე გადაწყდა, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაცია დანიშნავს დაინტერესებულ სტუდენტებთან ონლაინ შეხვედრას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხები:

- ა) 16 მაისიდან ფაკულტეტზე მოქმედი ყველა საბაკალავრო პროგრამა იმუშავებს სრულად დასწრებულ (არადისტანციურ) რეჟიმში;
- ბ) სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების მუშაობის ფორმატის შესახებ;
- გ) საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებისთვის დამატებითი კონსულტაციების შეთავაზების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: ა) მომხრე - 20, თავი შეიკავა - 7, წინააღმდეგი - 0;

ბ) მომხრე - 22, თავი შეიკავა - 3, წინააღმდეგი - 2;

გ) საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: ა) 16 მაისიდან ფაკულტეტზე მოქმედი ყველა საბაკალავრო პროგრამა იმუშავებს სრულად დასწრებულ (არადისტანციურ) რეჟიმში.

ბ) საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგებს ეთხოვოთ უზრუნველყონ სტუდენტებისთვის დამატებითი დისტანციური კონსულტაციები.

გ) სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების მუშაობის ფორმატი განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. ფიზიკის სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამები - ადგილზე;
2. ბიოლოგიის სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამები - შერეული ფორმატი;
3. მათემატიკის სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამები - შერეული ფორმატი;
4. გეოგრაფიის სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამები - შერეული ფორმატი;
5. გეოლოგიის სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამები - ადგილზე;
6. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამები - შერეული ფორმატი;
7. ქიმიის სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამები - შერეული ფორმატი;
8. კომპიუტერული მეცნიერებების სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამები - დისტანციურად;
9. გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამა - შერეული ფორმატი.

2. მოისმინეს: მიმდინარე საკითხებში განხილული იყო საკითხი საბაკალავრო ნაშრომის თემის შეცვლის შესახებ (13 მაისის სხდომიდან). საკითხი გამოიტანა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ. მატონმა რამაზმა საბჭოს წევრებს წარუდგინა საბაკალავრო პროგრამა

„მათემატიკის“ საბაკალავრო თემისა და ანოტაციის კორექტირებული ვარიანტი (იხ. დანართი 1).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი განსახილველად გამოტანილი საბაკალავრო ნაშრომის თემის შეცვლის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: შეიცვალოს საბაკალავრო პროგრამა „მათემატიკის“ საბაკალავრო თემა და ანოტაცია და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საბაკალავრო თემა - დირიხლეს ინტეგრალების კრებადობის ზოგიერთი საკითხი;


ბაკალავრი - ნიკა არეშიძე;

ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. თეიმურაზ ახობაძე;

ანოტაცია - ნაშრომში დამტკიცებულია ლებეგის კრიტერიუმი განზოგადებული დირიხლეს ინტეგრალებისათვის. შესწავლილია, აგრეთვე, ასეთი ინტეგრალების წარმოებულის ყოფაქცევა წერტილში და უწყვეტ ფუნქციათა სივრცეში.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,

ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი

